პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 1945 წ. № 211 (7426). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უდანაკარგოდ ავილოთ და დროულად გადავზიდოთ შაქრის ჭარხალი. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პლებისციტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ა. მგელაძე — პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ახალი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით (მე-3 გვერდი).
ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი (მე-3 გვერდი).
ხაშურელი კოლმეურნენი ავითარებენ მევენახეობას (მე-3 გვერდი).
ი. ფრანგულიანი. სასმელი წყლის სანიტარული დაცვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

უდანაკარგოდ ავილოთ და დროულად გადავზიდოთ შაქრის ჭარხალი

გაჩაღებულია შაქრის ჭარხლის აღება. მრავალი კოლმეურნეობა ჭარხლის უხვ მოსავალს იღებს. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ საქადაგიანოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 2 ჰექტარზე 1.000 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს. ამავე რაიონის გამდლისწყაროს ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ მიიღეს 330 ცენტნერი ჭარხალი. ასეთი მაგალითები მრავალია. კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ მშვენიერი შედეგი მოგვცა. შაქრის ჭარხალი ბევრია. ახლა, ამოცანა ის არის, რომ დროულად, უდანაკარგოდ ავილოთ მოსავალი და მივიტანოთ დანიშნულების ადგილზე.

ბევრგან კარგად ესმით ეს ამოცანა, ზუსტად ასრულებენ შაქრის ჭარხლის ამოღების ხუთდღიურ დავალებას. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებს 20 ოქტომბრისათვის უნდა აეღოთ 700 ჰექტარი ჭარხალი, ფაქტიურად აიღეს 934 ჰექტარი. კარგად ასრულებს ხუთდღიურ დავალებებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიც. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. განსაკუთრებით ჩამორჩა გორის რაიონი, რომელსაც 20 ოქტომბრისათვის აღებული ჰქონდა 151 ჰექტარი ჭარხალი, ხუთდღიურ დავალებათა მიხედვით კი ამ რიცხვისათვის უნდა აეღო 560 ჰექტარი. ჭარხლის ამოღების ხუთდღიური დავალებები არ სრულდება არც ქარელის რაიონში. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის კასპისა და ბორჩალოს რაიონებშიც.

რა აფერხებს ჭარხლის ამოღებასა და გადაზიდვას? უწინარეს ყოვლისა ძალების არასწორად განაწილება, მორიგეობითობა სამუშაოთა წარმოებაში. თუ ეს ნაკლი სასწრაფოდ არ გამოვასწორეთ, შესაძლებელია ბევრი ძვირფასი ნედლეული დავკარგოთ. ახლა ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის გადამწყვეტი დღეებია. სწორი ხელმძღვანელობა, ძალთა უნარიანი განაწილება, კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობა სწყვეტენ ყველაფერს.

შაქრის ჭარხლის აღების დროს ჯერ კიდევ აქვს ადგილი დანაკარგებს. ზოგან ჭარხალს კვლავ ძველებურად სწმენდენ, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს. მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობაში, სოფელ კლდისწყაროს კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯში", კასპის რაიონის სოფელ ხითის კოლმეურნეობა „სწორ ნაბიჯში", სტალინირის რაიონის სოფელ ჩალისუბნის კოლმეურნეობა „განთიადში". ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ჭარხლის გაწმენდისათვის შემოღებულია აგრონომ იარმოშენკოს მეთოდი, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს დანაკარგებს. მაშ, რატომ არ იყენებენ მას?

აუცილებელია ეს ნაკლი სასწრაფოდ გამოვასწოროთ. ჩვენმა სპეციალისტებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს, რომ ჭარხლის ძირები ყველგან გასწმინდონ იარმოშენკოს მეთოდით.

ჭარხლის მიმღები მთელი რიგი პუნქტები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. გორის რაიონის სკრის მიმღებ პუნქტში სასწორები დროულად არ შეაკეთეს, რის გამო ჭარხლის მიღება შეფერხებული იყო. ცუდად მუშაობს ხაშურის რაიონის გომის მიმღები პუნქტი. კოლმეურნეებს აქ დიდ ხანს უხდებათ ლოდინი შაქრის ჭარხლის ჩაბარებისათვის. ასეთ ფაქტებს ვხვდებით კასპის რაიონშიც. მიმღები პუნქტების წესიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჭარხლის ჩაბარების გეგმის შესრულება. დროა მოწესრიგდეს ჭარხლის მიმღები პუნქტების მუშაობა.

ჩვენი დიადი გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სერიოზული ვალდებულებები იკისრეს. ჩვენმა მეჭარხლეებმა პირობა დასდეს, რომ უდანაკარგოდ აიღებდნენ ჭარხალს და დროულად გადაზიდავდნენ მიმღებ პუნქტებში. გორის, ქარელის, კასპის, ბორჩალოს რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ პირობის შესრულება დაივიწყეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვალდებულების აღებას საქმეც უნდა მოჰყვეს. ამოცანა ის არის, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილემ შეასრულოს პირობა—აუღებელი და გადაუზიდავი არ დასტოვოს არც ერთი ძირი შაქრის ჭარხალი.

აუცილებელია დავიცვათ ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის გრაფიკი, არ დავუშვათ ამოღებისა, გაწმენდისა და მიმღებ პუნქტებში გადაზიდვის დაშორიშორება, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ თვითეული ავტომანქანა, აგრეთვე მუშა საქონელი. საჭიროა თვითეულმა კოლმეურნეობამ გადასაზიდავად გამოჰყოს მუშა საქონლის საკმაო რაოდენობა. ჭარხლის გადაზიდვა უნდა ვაწარმოოთ დღედაღამ. კოლმეურნეებს, მზიდავებს, შოფერებს, რომელნიც ჭარხლის ამოღებასა და გადაზიდვაზე მუშაობენ, ეძლევათ შაქარი, სამრეწველო საქონელი. ეს დიდი სტიმულია ამ სამუშაოთა დასაჩქარებლად.

მეტ ყურადღებას მოითხოვს ჭარხლის მოსავლის აღრიცხვა, მისი დაცვა, როგორც ამოღება-გადაზიდვისას, ისე გროვებად შენახვისას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულია ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის ვადები. ჭარხლის სამუშაოებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველვყოთ ამ ვადების მტკიცედ დაცვა. მთელი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ აგარის შაქრის ქარხანას არ მოვაკლოთ ნედლეული.

ახლოვდება ისტორიული თარიღი— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავი. ჩვენი ხალხი ემზადება თავისი უმაღლესი ორგანოს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამასთან დაკავშირებით, საკოლმეურნეო სოფელში იზრდება საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა. სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ამ აღმავლობას, წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ კ. ს. კეკელიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და ლიტერატურის გამოკვლევის დარგში ძვირფასი ნაშრომებისათვის და მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კორნელი სამსონის-ძე **კეკელიძე** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ გ. დ. ქიქოძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით გერონტი დიმიტრის-ძე **ქიქოძე** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ა. გ. ერისთავ-ხოშტარიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ანასტასია გიორგის-ასული **ერისთავი-ხოშტარია** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 23 ოქტომბერი.

პლებისციტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

ულან-ბატორი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში პლებისციტის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ შეაჯამა საყოველთაო ხმისმიცემის წინასწარი შედეგები დამოუკიდებლობის საკითხზე.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში პლებისციტის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ცურუნეამ განაცხადა:

„როგორც პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული, პლებისციტში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის საკითხზე, ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისად, მონაწილეობას იღებდნენ მოქალაქენი, რომლებმაც 18 წლის ასაკს მიაღწიეს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. საიმაკო (საოლქო) კომისიების მიერ შედგენილი სიების თანახმად, სულ რესპუბლიკაში ხმისმიცემაში მონაწილეობა უნდა მიეღო 494.074 კაცს. 22 ოქტომბრამდე მიღებული წინასწარი ცნობების თანახმად, მონღოლეთის ყველა 18 აიმაკში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობას ხმა მისცა 483.291 კაცმა—97,8 პროცენტმა. არც ერთი ხმა არ ყოფილა მიცემული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ჩვენი ხალხის ასეთმა ერთსულოვნებამ, რომელმაც ხმა მისცა თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობას, ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ მსოფლიოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქეების მხურვალე მისწრაფება — დაიცვას თავისი სამშობლოს სუვერენიტეტი, რაც მოპოვებულია მტრების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში. მონღოლმა ხალხმა ასეთი დიდი მასშტაბით ჩატარებულ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიაში ცხადჰყო მაღალი პატრიოტიზმი, პოლიტიკური მომწიფულობა და დარაზმულობა თავისი სახალხო მთავრობის გარშემო, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლი ხალხის ბელადის მარშალ ჩოიბალსანის გარშემო. პლებისციტი იყო აგრეთვე ჩვენი პარტიული და სახელმწიფო აპარატის, აგრეთვე რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის სერიოზული გამოცდა. ჩვენ შეგვიძლია ახლა განვაცხადოთ, რომ ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ.

პლებისციტის ჩამტარებელი კომისიები როგორც ქალაქებში, ისე შორეულ აიმაკებში მუშაობდნენ ზუსტად, დემოკრატიის პრინციპების მკაცრი დაცვით. ამიერიდან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს დამოუკიდებელ, მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში".

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის მაიორი ვლადიმერ აბრამის-ძე ალექსეენკო. კრასნოდარის მხარის კრიმსკაიას რაიონის სტანიცა კიევსკაიას მცხოვრები.

ფოტო გ. შიროკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლატვიის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტ ბ. ფ. რუმნიეცეს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ლატვიის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბერტა ფრიცის-ასული **რუმნიეცე** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 22 ოქტომბერი.

საკდესი უარჰყოფს

ლონდონის გაზეთებმა „ნიუს ქრონიკლმა", „დეილი მეილმა" და ზოგიერთმა სხვებმა გამოაქვეყნეს ამერიკის სააგენტოს ასოშიეიტედ პრესის ცნობა, თითქოს ამ უკანასკნელ დღეებში ბულგარეთ-თურქეთის საზღვარზე საბჭოთა ჯარების დიდი მანევრები სწარმოებდა.

საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობა, როგორც მოჭორილი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული.

უკანასკნელი ცნობები

რეფერენდუმის წინასწარი შედეგები საფრანგეთში

პარიზი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის მთელ მეტროპოლიაში, გარდა კორსიკის დეპარტამენტისა, რეფერენდუმის შედეგი ასეთია: რეგისტრირებულია 24.477.209 კაცი. ხმა მისცა 19.476.874 კაცმა; ხმის მიმცემთა პროცენტი — 79,5.

18.481.888 ხმის მიმცემ ამომრჩეველთაგან პირველ კითხვაზე უპასუხა „კი" 17.812.609 კაცმა ანუ 96,4 პროცენტმა; უპასუხა „არა" 669.279 კაცმა ანუ 3,6 პროცენტმა.

მეორე კითხვაზე 18.454.778 კაცთაგან უპასუხა „კი" 12.224.180 კაცმა ანუ 66,3 პროცენტმა; უპასუხა „არა" 6.230.598 კაცმა ანუ 33,7 პროცენტმა.

პარიზი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, რომლებიც ეხებიან 531 დეპუტატს (როგორც საფრანგეთში, ისე მის სამფლობელოებში არჩეულთ), მათი პარტიული შემადგენლობა ასეთია: კომუნისტი — 151, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" წარმომადგენელი — 142, სოციალისტი — 139, უკიდურესი მემარჯვენე — 40, დამოუკიდებელი — 40, რადიკალი — 19.

დანიშვნები არგენტინის მთავრობაში

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, არგენტინის პრეზიდენტმა ფარელმა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დანიშნა გენერალი პისტარინი. 1937 წელს, როცა პისტარინი არგენტინის სამხედრო ატაშედ იყო ბერლინში, ჰიტლერმა გერმანიის არწივის ორდენით დააჯილდოვა იგი.

პისტარინი გერმანიის არმიაში მსახურებდა 1909-დან 1911 წლამდე, გერმანიაში იმგზავრა 1923 წელს იარაღის შესასყიდად, ხოლო 1937-38 წლებში სამხედრო ატაშედ იყო ბერლინში. 1941 წელს მან განუცხადა არგენტინის ტექნიკურ საზოგადოებას, რომ ამ საზოგადოებას ესაჭიროება „მტკიცე ავტორიტარული" (ე. ი. ფაშისტური) ორგანიზაცია.

ამავე დროს ფარელმა კაბინეტის შემადგენლობაში შეიყვანა პერონის ოთხი მომხრე.

პერონის კავშირი ჰიტლერელებთან

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ „დემოკრატიის დაცვის პან-ამერიკულმა საბჭომ" ამ დღეებში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებმა — ორმა თვალსაჩინო არგენტინელმა. მათ განაცხადეს, რომ პერონი უშველია ამჟამად კონსულტაციას იღებს გერმანელი ფაშისტებისაგან. არგენტინელებმა კომენტარი გაუკეთეს ბუენოს-აირესიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ პერონი შებულებაში წავიდა ჩუბუტის პროვინციაში (პატაგონია) და სთქვეს, რომ გერმანელ მემამულეებს უდიდესი სამფლობელოები აქვთ პატაგონიაში და რომ იქ იმალებიან ცნობილი ჰიტლერელები, რომლებმაც თან წაიღეს უდიდესი თანხები.

არგენტინელებმა ითხოვეს ნუ გამოაქვეყნებთ ჩვენს გვარებს, ვინაიდან ჩვენი ოჯახები არგენტინაში ცხოვრობენო. მათ განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც პერონი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, არგენტინაში, არგენტინის არმიის რიცხვი ერთისამად გადიდდა, ხოლო პოლიციის რიცხვი ბუენოს-აირესში 10 ათასიდან 30 ათას კაცამდე გაიზარდა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დეჟანეიროდან იუწყება, გაზეთ „ლა კრიტიკის" გამომცემელმა ტაბორდამ ინტერვიუში გამოსთქვა მოსაზრება, რომ პერონი არგენტინის სამხრეთ ნაწილში გაემგზავრა, რათა ეთათბიროს ჰიტლერელთა ლიდერებს და გაეცნოს მიღწევებს საიდუმლო იარაღის წარმოების დარგში.

საბჭოთა კავშირში

საარტილერიო მუზეუმის ახალი ექსპონატები

ლენინგრადი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). წითელი არმიის ცენტრალური საარტილერიო ისტორიული მუზეუმის ფონდებს ახალი ექსპონატები შეემატა.

გვარდიის გენერალ-ლეიტენანტმა საბჭოთა კავშირის გმირმა ფირსოვმა მუზეუმს გადასცა თავისი საველე რუკები, მათ შორის ბერლინის რუკა, რომლითაც იგი სარგებლობდა ფაშისტური ბუნაგის იერიშის დღეებში. საბჭოთა კავშირის გმირმა გვარდიის არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა პოჟარსკიმ მუზეუმს ჩააბარა საკუთარი რევოლვერი და საველე დურბინდი, რომლითაც მან განვლო თავისი საბრძოლო გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე. ბერლინის მოიერიშე ერთ-ერთი არმიის არტილერიის სარდალმა საბჭოთა კავშირის გმირმა არტილერიის გენერალ-მაიორმა კოსენკომ გადასცა დურბინდი და კომპასი.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ალბომი „პონირიდან ბერლინამდე". ალბომში იმ არტილერისტთა პორტრეტებს გარდა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლებში, აღბეჭდილია ბერლინისათვის ბრძოლების ეპიზოდები და პირველი ცეცხლით დარტყმები ქალაქზე.

მუზეუმის კოლექტივი ქმნის საბჭოთა კავშირის გმირ არტილერისტთა გალერეას.

ლექტორიუმების მოწყობა მოსკოვში

მოსკოვის 6 რაიონში — ტიმირიაზევის, კალინინის, სტალინის, პროლეტარსკის, შჩერბაკოვის და კრასნაია პრესნის რაიონებში იხსნება მშობელთათვის პედაგოგიური პროპაგანდის ლექტორიუმები. გარდა ამისა, მთელ რიგ რაიონებში ლექტორიუმები ეწყობა პარტიულ-კომკავშირული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივისათვის. აქ ლექციებს წაიკითხავენ მიმდინარე მომენტზე, სსრ კავშირის ისტორიაზე, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. (საკდესი).

კვლავ არქტიკაში

მ. ა. ტიტლოვი ყინულის დასაზვერავად გაფრინდა

პოლარელი მფრინავი მ. ი. ტიტლოვი, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა დიდი არქტიკული გადაფრენა, 20 ოქტომბერს მოსკოვიდან კვლავ გაფრინდა ყინულის დასაზვერავად. თვითმფრინავმა გეზი აიღო არხანგელსკისაკენ, საიდანაც იგი გაფრინდება მარშრუტით ამდერმა—კოსისტის კონცხი.

მანქანაზე არის ასი კილოგრამი ტვირთი — ჟურნალ-გაზეთები, წერილები, ლიტერატურა. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლიტსამმართველომ ამხ. ტიტლოვს გაატანა სახელმძღვანელოები ნორდვიკის და კოჟევნიკოვის ბუხტის სკოლებისათვის, ხოლო ზოგიერთი პოლარული სადგურების და ერთ-ერთი არქტიკული ავიაპორტისათვის—ქრონიკალური და მხატვრული ფილმები.

ნენელთა დაბის მოსახლეობას გაეგზავნა კინოსურათი სტალინგრადისათვის ბრძოლისა „დღეები და ღამეები". პოლარელებს გაეგზავნათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ლექციათა სტენოგრამები და პარტიული მშენებლობის საკითხთა მასალების კრებული.

კოსისტის კონცხიდან ამხანაგი ტიტლოვი გაემგზავრება კარის ზღვისა და ლაპტევების ზღვის ყინულთა დასაზვერავად. ამ დაზვერვის გეგმა შეიმუშავა საკავშირო არქტიკულმა ინსტიტუტმა. წლის ესოდენ გვიან დროს ნავიგაციისშემდგომს ყინულთა გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ექნება მომავლის პროგნოზთა შესადგენად.

ამხანაგი ტიტლოვი იმავე მანქანით გაფრინდა, რომელმაც სულ ამ ცოტა ხნის წინათ გადალახა 20 ათასი კილომეტრი არქტიკის ყინულებზე,—ორმოტორიანი სახმელეთო მანქანით „სსსრ ნ-331". (საკდესი).

სადღესასწაულო რადიოგადაცემა პოლარელთათვის

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ და საკავშირო რადიოკომიტეტმა გადასწყვიტეს განაახლონ ომის გამო შეწყვეტილი რადიოგადაცემა მოსკოვიდან არქტიკის მოზამთრეთათვის. პირველი ასეთი გადაცემა მიეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 28-ე წლისთავს. დედაქალაქში მიკროფონთან სადღესასწაულო მილოცვით გამოვლენ კონტრ-ადმირალი ი. დ. პაპანინი და პოლარელთა ნათესავები. (საკდესი).

წარმოების კონვეიერიზაცია სელის ქარხნებში

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სელის პირველადი დამუშავების ქარხნებში შემოღებულ იქნება შენგტურბინების აგრეგატთა კონვეიერიზაცია, რაც დაზოგავს მუშახელის მნიშვნელოვან რაოდენობას, ვინაიდან სათელავი მანქანის მართვა და საწეწი მანქანისათვის ნახევარფაბრიკატის გადაცემა ხელით სწარმოებს.

ლაფნეული ბოჭკოს სამეცნიერო-საკვლევა ინსტიტუტმა მეცნიერი თანამშრომლების მ. ი. შეიკინისა და ლ. ნ. კირილოვის წინადადებით სპეციალური დანადგარი გააკეთა კონვეიერიზაციისათვის; ეს დანადგარი განუწყვეტელ ფენად აძლევს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატს. ეს ამცირებს მანქანების მომსახურებისათვის მუშახელის საჭიროებას და 40 პროცენტამდე ადიდებს შრომის ნაყოფიერებას აგრეგატებზე.

კონვეიერული სისტემით მუშაობენ უკვე კალინინის ტრესტის სანკოვსკის და კესოვოგორსკის სელის ქარხნები და იაროსლავლის ტრესტის ხარინის ქარხანა. წელს წარმოების ახალი მეთოდი შემოღებულ იქნება 40 სელის ქარხანაში.

საბჭოთა კავშირის საუკეთესო საბრძმედო საამქრო

მაკეევკა, 21 ოქტომბერი. (საკდესი). სექტემბერში გაწეული ჩინებული მუშაობისათვის კიროვის სახელობის მაკეევკის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეთა კოლექტივს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მიეკუთვნა საკავშირო შეჯიბრებაში და გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. საამქროს მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის საუკეთესო საბრძმედო საამქროს წოდება.

მაკეევკის მებრძმედეები ტემპს არც ოქტომბერში ანელებენ. 20 დღის განმავლობაში მათ 1.500 ტონა თუჯი გამოუშვეს გეგმის გადამეტებით. პირველი ადგილი უკავია კოსტრიკინის ცვლას. ოქტომბრის 20 დღის განმავლობაში ამ ცვლამ 600 ტონამდე ლითონი გამოადნო გეგმის გადამეტებით.

ესტონელ მოჭადრაკეთა ტურნირი

ტალინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ტალინში მოსკოველი გროსმაისტერების კოტოვის, ფლორის, ლილიენტალის მონაწილეობით მიმდინარეობდა ესტონელ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც დამთავრდა დღეს ესტონელ მოჭადრაკე კერესის ბრწყინვალე გამარჯვებით; მან შეაგროვა 13 ქულა 15-დან. კერესი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია. მეორე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა კოტოვმა —12.5 ქულა; მესამე ადგილი ხვდა წითელი არმიის მებრძოლს მაესტრო ტოლუშს. მეოთხე და მეხუთე ადგილი გაიყვეს გროსმაისტერებმა ფლორმა და ლილიენტალმა, რომელთაგან თვითეულს 11,5 ქულა აქვს.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

გმირმა საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა წითელმა არმიამ გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით, სასტიკად დაამარცხეს ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, შექმნეს მშვიდობიანი განვითარების მტკიცე საფუძველი.

ომის წლებში, ჩვენი სამშობლოს მძიმე განსაცდელის დღეებში ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტია მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგა, როგორც მტრის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და შესანიშნავი ორგანიზატორი.

„პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანები, მტრის განადგურების საქმეს დაუქვემდებარა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი“. (ი. სტალინი).

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს იმის უნარი, რომ მილიონობით ადამიანთა ღონისძიებანი წარმართოს მორიგი მთავარი ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ომის პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს, დიდი გამოცდილება დაიგროვეს, ისწავლეს უფრო კონკრეტულად, ოპერატიულად მოქმედება, თვითეული, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო საკითხის არსში ჩაწვდომა. მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირი განვითარების მშვიდობიან პერიოდში შევიდა, მთელ თავის ძალებსა და საშუალებებს რაზმავს ომით მიყენებული ჭრილობების უსწრაფესად მოშუშებისათვის და იმუშავებს მეოთხე სტალინურ ხუთწლიან გეგმას, რომლის განხორციელებაც ჩვენს სამშობლოს კიდევ უფრო დიდს გახდის, ვიდრე ოდესმე ყოფილა,—მთელი სიმწვავით დგება პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკური პარტია მშრომელთა ყველა ორგანიზაციის, როგორც საზოგადოებრივის, ისე სახელმწიფოებრივის, ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს. პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე, იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ არიან ისინი დაკავშირებულნი მასებთან და მიიყოლიებენ მასებს, დამოკიდებულია სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგის მუშაობის დონე. ამიტომ პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, რომლის ამოცანაა მუდამ აამაღლებდეს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, სრულჰყოფდეს მათი ხელმძღვანელი მუშაობის მეთოდებს, ლენინიზმის სულისკვეთებით ზრდიდეს პარტიის წევრებსა და კანდიდატებს.

ახალ პირობებში პარტიული მუშაობის გარდაქმნის გზებზე აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა პირველ წარმატებებს მიაღწიეს. სწორედ ამით აიხსნება ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები 1945 წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში.

მრეწველობის ხაზით: ქვანახშირის მოპოვების გეგმა გადაჭარბებით სრულდება ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტს უკვე მეხუთე თვეა ხელთ უპყრია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე მესამე თვეა მან მოიპოვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სახელმწიფო მრეწველობამ 9 თვეში გეგმა 105,9 პროცენტით შეასრულა, ქალაქ სოხუმის საწარმოებმა — 108 პროცენტით.

ქალაქ სოხუმისა და აფხაზეთის მთელი რიგი საწარმოები წლიურ საწარმოო გეგმას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავისათვის შეასრულებენ.

სოფლის მეურნეობის ხაზით: ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია ვადაზე 15 დღით ადრე. სახელმწიფოს ჩაბარდა მხოლოდ-მხოლოდ პირველი და მეორე ხარისხის ჩაი. თამბაქოს აღების გეგმა შესრულებულია ვადაზე 20 დღით ადრე და წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის ჩაბარება, რაც მნიშვნელოვნად ასწრებს ჩაბარების კალენდარულ ვადებს. წელს ჩვენი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მიიღებს რამდენიმე ასეულ ტონა მაღალ-

ხარისხოვან ყვითელ სურნელოვან აფხაზურ თამბაქოს. ციტრუსოვანთა მყობის გეგმა შესრულებულია ვადამდე 106 პროცენტით. ასევე უეჭველად შესრულდება სახელმწიფოსათვის ტუნგოსა და ციტრუსების ჩაბარების და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

გაჩაღებულია ქალაქ სოხუმის შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები. შეკეთდა ბევრი სახლის ფასადები და სახურავები, წესრიგზე მოყვანილია ბევრი ქუჩა და ტროტუარი. წარმატებით მიმდინარეობს რვა კილომეტრი სიგრძის ვენეციური გზატკეცილისა და ჭოჭუას სახელობის (ყოფილი მთისძირის) ქუჩის მშენებლობა. გაჩახლებულია სოხუმის საქალაქო თეატრის მშენებლობა. შენდება სოხუმის ჰიდროელექტროსადგური. უახლოეს მომავალში გაჩაღდება მუშაობა სოხუმის ახალი წყალსადენის ასაგებად.

მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. აფხაზეთის პოეტებმა და მწერლებმა დასწერეს სამამულო ომის გმირებისადმი, ჩვენი სოციალისტური მშენებლობისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მოთხრობები და ლექსები. ჩვენი მწერლების რიგებში არიან ისეთი მნიშვნელოვანი ძალები, როგორიც არიან აფხაზეთის

მოითხოვენ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და მეურნეობის ყველა დარგის კონკრეტულ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

ის, რის გაკეთებაც დღეს შეიძლება, ხვალისათვის არ უნდა გადავდოთ. ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

„ჩვენ არ გვახსოვს შემთხვევა,— ალნიშნავდნენ ამხანაგები პოსკრებიშევი და დვინსკი ჩვენი დიდი მასწავლებლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში,— რომ ამხანაგ სტალინს სამუშაო დაეტოვებინოს მანამდე, ვიდრე არ გაკეთდებოდა ყველაფერი, რაც უნდა გაკეთებულიყო მოცემულ დღეს. გვიანი ღამეც ვერ აშორებს მას ზრუნვას“.

ასე უნდა მუშაობდეს თვითეული ჩვენთაგანი. ჩვენი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდება, საკუთარი თავისა და ხელქვეითთადმი მომთხოვნელობა — ასეთია ამოცანა.

პარტიულ - ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ბოლშევიკურად დაყენება უზრუნველჰყოფს სამეურნეო წარმატებათა სიმტკიცეს. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და

ტივზე დაყრდნობით ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას. პარტიული აქტივის ინიციატივიანობასა და ორგანიზებულობაზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ ასრულებს ენ რაიონული ან საქალაქო ორგანიზაციები პარტიისა და მთავრობის დი-

...

ცემლო პარტიული გადაწყვეტილებანი, დროულად მიიღო ქმედითი ზომები ვითარების მიხედვით, სწორად განსაზღვროს მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია მთელი საქმის წარმატება,—ეს ბოლშევიკი ხელმძღვანელის განუყრელი თვისებებია.

ბოლშევიკები, რომლებმაც სამამულო ომის წლებში სამარადისო დიდება მოიპოვეს, არასოდეს მიღწევების გამო თვითდამშვიდებას არ მისცემიან. მათ იციან, რომ თვითდამშვიდება არ შეჰფერის ნამდვილ ბოლშევიკებს, ლენინელ-სტალინელებს, რომ წინ კიდევ ძალიან ბევრი ამოცანაა, რომელთა გადაწყვეტაც ძალებისა და ენერგიის ახალ დაძაბვას მოითხოვს.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები დიადი და გრანდიოზულია. ისინი

...

ძლიერ მხარეებს, იმას, თუ ყოველდღიურად როგორ იბრძვის იგი ლენინ-სტალინის საქმისათვის. კომუნისტისაგან უნდა მოვითხოვოთ არა მარტო ის, რომ იგი ასრულებდეს გეგმას წარმოებაში, არამედ ისიც, რომ კულტურულად იზრდებოდეს და ვითარდებოდეს, დაიარებოდეს თეატრსა და კინოში, ესწრებოდეს ლექციებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი განუწყვეტლივ იზრდებოდეს იდეურად, ნაყოფიერად მუშაობდეს და კულტურულად ცხოვრობდეს. პარტიის წევრთა იდეური შეიარაღებისა და აღზრდის დარგში მუშაობა პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიულ აქტივთან. პარტიული ორგანოები პარტიულ აქ-

...

ლობისა და სიცოცხლის დაუზოგავად იცავდა სამშობლოს ბრძოლის ველზე, და მათაც, ვინც თავდადებულად მუშაობდა საბჭოთა ზურგში ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. აი ისინი იქნებიან წამოყენებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ იმ უდიდეს პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, რაც გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ხალხები წავლენ ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის გზაზე.

პარტიული ცხოვრება

მქსოველები შეუდგნენ საარჩევნო კანონის შესწავლას

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ფ. აფაქიძე) მოიწვია საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის მონაწილეებს მიეცათ ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა საარჩევნო კანონის პოპულარიზაციისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციამ მოითი-

...

ფაბრიკის პარტიულმა ბიურომ ექვსი აგიტატორი გამოჰყო დიასახლისთა შორის დებულების განმარტებისათვის. აგიტატორმა მ. მგალობლიშვილმა უკვე სამი საუბარი ჩაატარა კლარა ცეტკინის ქ. № 68-ში მცხოვრებ დიასახლისთა შორის. მან მსმენელებს განუმარტა ამომრჩეველთა უფლებამოვალეობანი და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა მუშათა შორის მუშაობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პირველად მიიღებს მონა-

...

კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“. მათ მიერ ჩატარებული საუბრები საინტერესოა.

კარგად ეწევიან სააგიტაციო მუშაობას ამხანაგები თ. ბაიდაური, ო. ვაშაკიძე, თ. კაიშაური, ქ. ებანოიძე და სხვები.

...

გათვალისწინებულია ცალკეულ საკითხებზე მოეწყოს ლექციები და მოხსენებები. უკვე ჩატარდა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა სახელმწიფო ყველაზე უფრო მტკიცე სახელმწიფოა მსოფლიოში“.

მ. ხანანაშვილი

საარჩევნო კამპანიის ავიამომსახურება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით სამოქალაქო საჰაერო ფლოტს დაეკისრა ამოცანა — ავიაციით გაუწიოს მომსახურება საარჩევნო კამპანიას. აეროფლოტის ქვეგანაყოფებმა შორეულ საარჩევნო ოლქებში უნდა გადაიტანონ არჩევნებთან დაკავშირებული დიდძალი ლიტერატურა და მასალები.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში შორეულ რაიონებში ფრენისათვის შერჩეული არიან ჩრდილოეთში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე საუკეთესო პილოტები. გულდასმით მოწმდება საარჩევნო კამპანიის მომსახურებისათვის გამოყოფილ თვითმფრინავთა მატერიალური ნაწილი.

ურალის, დასავლეთ ციმბირის, აღმოსავლეთ ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სამმართველოებში ამ მიზნით სპეციალური ავიარაზმები შეიქმნა. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საავიაციო ჯგუფებში გამოყოფილი არიან ინსტრუქტორები, რომლებიც ადგილობრივ საბჭოებთან ერთად აწყობენ საარჩევნო ტვირთების გადატანას.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოები, ავიარაზმებისა და რგოლების მეთაურები ადგენენ საარჩევნო კამპანიის სამოქალაქო ავიაციით მომსახურების გეგმებს, რომლებიც შეთანხმებულია ძოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან და საოლქო აღმასკომებთან. ამ გეგმებში დასახულია გადაფრენათა ტრასები, განსაზღვრულია თვითმფრინავებით გადასაყვანი მგზავრებისა და გადასატანი ტვირთების რაოდენობა, ინიშნება თვითმფრინავთა დაშვების ახალი პუნქტები.

ადგილებიდან მოსკოვში უკვე მოდის ცნობები, რომ აეროფლოტის რაზმები საარჩევნო კამპანიის მომზადებაში ჩაებნენ. ურალის სამმართველომ არჩევნების მომსახურებისათვის გამოჰყო საუკეთესო პილოტები, შორეულ საარჩევნო ოლქებში მოაწყო დასაშვები მოედნები. მოლოტოვიდან კუდიმკარში პირველი რეისით გაიგზავნა საარჩევნო მასალებით დატვირთული თვითმფრინავი.

საარჩევნო ლიტერატურა თვითმფრინავებით გაიგზავნა ჩრდილოეთში — ანადირში, იაკუტსკში, სალეხარდში, ნარიან-მარსა და სხვა პუნქტებში.

ავიაციის მარშალ ფ. ა. ასტახოვის ბრძანებით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი ავიაციის მიერ საარჩევნო კამპანიის მომსახურების ხელმძღვანელობისათვის. (საკდესი).

კომუნისტები—საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები

კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მეხუთე ბრიგადაში მოუწესრიგებელი იყო შრომა. ...

...

შაოთა მიმდინარეობასა და ნამუშევრის ხარისხზე.

მალე ბრიგადას ცვლილება დაეტყო. დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა. საჭირო რაოდენობით იქნა შეტანილი აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქები. წესრიგში მოიყვანეს სადრენაჟო ქსელი. მოკლე ვადაში აგროღონისძიებათა დაცვით ჩატარდა საგაზაფხულო თესვა და ნათესების დამუშავება. გამოიზარდნენ ახალი სტახანოველები. დუშა, თებრო და ცაბა ჯიქიები ჩაის კრეფის გეგმებს 180-200 პროცენტით ასრულებენ. ბრიგადამ პირველი ოქტომბრისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 140 პროცენტით შეასრულა.

კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადას სათავეში უდგას კომუნისტი მელიტონ ჯაბუა. მან სანიმუშოდ მოაწყო შრომა. შრომისუნარიან თვითეულ წევრზე ამ ბრიგადაში საშუალოდ 275 შრომადღე მოდის. ...

...

პარტიის წევრი აგრონომი დავით ჯიქია კარგად უვლის ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ვენახის პლანტაციებს.

აგიტატორები ელპიდი ჯაბუა, პარასკევა, მარო და შუშანა ნაჭყებიები ნაყოფიერად მუშაობენ ბრიგადებში. ისინი გულმოდგინედ ემზადებიან საუბრებისათვის, აგიტაციას მოხერხებულად უკავშირებენ ბრიგადის საბრძოლო ამოცანებს.

ასე მუშაობენ ზუგდიდის რაიონის ახალისოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ კომუნისტები. ისინი საკოლმეურნეო შრომის ნამდვილი ორგანიზატორები არიან. მათი ბეჯითი შრომის ნაყოფია კოლმეურნეობა წელს გეგმის გადამეტებით 30 ტონა ჩაის, 50 ტონა ტუნგოს სახელმწიფოს რომ აბარებს და სიმინდის უხვ მოსავალს იღებს.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

თბილისის ხაპნის ქარხნის აგიტატორი ი. მახაშვილი ქარხნის მუშებს აცნობს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“ ფოტო ვლ. გინზბურგისა

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება ქარხანა „კრასნი პროლეტარში“

22 ოქტომბერს მოსკოვის დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარში“ შესდგა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მესამე კვარტალში საწარმოს მუშაობის შედეგებსა და მორიგ ამოცანებზე მოხსენება გააკე-

...

ბისათვის ცვლის პერსონალური დავალების მიცემა და კარგად მოაწყეს მისი შესრულების კონტროლი. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება სექტემბერში, ივლისთან შედარებით, იქ 30 პროცენტით გადიდდა.

სამართავი ფარები ელექტროსადგურებისათვის

ლენინგრადი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ლენინგრადის ქარხანა „ელექტროპულტი“ ელექტროსადგურებისათვის სამართავი კომპლექტური ფარების მიმწოდებელია.

ამ ცოტა ხნის წინათ მთავარი ფარი გაეგზავნა ლატვიის სსრ კეგუმის ჰიდროსადგურს. მალე დიდი ფარი ...

სადგენს, მეორე აგრეგატთან, რომელიც 23 პულტ-პანელისაგან შესდგება და გათვალისწინებულია რიბინსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის, დაძაბული მუშაობა სწარმოებს.

მუშავდება პატარა ფარების კონსტრუქციები საკოლმეურნეო ჰიდროსადგურებისათვის. კონსტრუქტორები ...



თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის სახელოსნოს სტახანოველები ვ. ცხვარაშვილი (მარცხნივ) და ვ. ძაგოევი ხიმძიმეების ამწესთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

საწარმოო აღმავლობის პირველი დღეები

ტექნიკური მოწყობილობისა და აღჭურვილობის მხრივ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ლითონდამუშავების საწარმოთა შორის. მიუხედავად ამისა აქ საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებენ. ქარხნის ...

... ვალდებულებანი. იმავე დაფის მეორე მხარეს აღნიშნულია, თუ ვინ როგორ ასრულებს პირობას. საამქროებში შემოიღეს „ელვა" ფურცლების გამოშვება. თუ საამქროს რომელიმე უბანზე საქმე დაბრკოლდა, „ელვა" ფურცლებით ამას დაუყოვნებლივ შეიტყობს საამქროს მთელი კოლექტივი.

საქარხნო პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს საამქროებისადმი ხელმძღვანელობა, ნამდვილად ჩაუდგნენ სათავეში საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ მუშებმა უფრო მაღალნაყოფიერად ...

ოქტომბრის პირველ ორ დეკადაში ქარხნის კოლექტივს მუშაობის ბევრად უკეთესი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე სექტემბერში. საჭიროა აღებული ტემპების შემდგომი გაძლიერება, რათა შესრულებულ იქნას წლიური საწარმოო დავალება, საამშობლომ იმდენი დაზგა მიიღოს, რამდენიც გათვალისწინებული იყო.

ქ. მჭედლიშვილი

აქვთ უკეთესად მუშაობის პირობები

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღებისა და სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების 9 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. წინ არის სტალინის სახელობის შახტი, რომელმაც ქვანახშირის მოპოვების გეგმა 1 ოქტომბრისათვის 102, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა 113,5 პროცენტით შეასრულა. გეგმა მთლიანად შეასრულა ლენინის სახელობის ...

... ციო უბანმა (უფროსი შ. შოთაძე) 9 თვის დავალება 111 პროცენტით გაანაღდა. კარგად მუშაობენ ამ შახტის უბნები, რომელსაც მ. ვერულაშვილი და პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობენ. ოქტომბერში ამხ. ნანიკაშვილის უბნის მეშახტეები 120-130 პროცენტით ასრულებენ სადღეღამისო გეგმებს. ლენინის სახელობის შახტის იმ უბნებმა, რომლებსაც სამთო ტექნიკოსები გ. ფანჩულიძე და ლ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობენ, 9 თვეში 10 თვის გეგმები შეასრულეს. მაგრამ ტყიბულში ჯერ კიდევ არიან სამარცხვინოდ ჩამორჩენილი საექსპლოატაციო უბნები (მაგალითად, ...

... ვროლში გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა, უზრუნველჰყონ მიმდინარე წლის დავალების გადაჭარბებით შესრულება. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ.

დ. ქათამაძე.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია

16 და 17 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შესდგა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის ხსოვნას. სხდომა გახსნა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ...

... თავისუფლებულია აღმოსავლური ლირიკის ძველი ზეგავლენისაგან. ბარათაშვილის მეტრიკის სათავეები უშუალოდ ქართული კლასიკური პოეზიის ძეგლებში უნდა ვეძიოთ.

სესიის მეორე სხდომაზე მოხსენება — „ბა...

... თან შეერთებას. პოეტი გენიალური მხატვრის ინტუიციით სჭვრეტდა თავისი ხალხის მომავალ განთიადს.

ა. გაწერელიამ თავის მოხსენებაში გააშუქა ნ. ბარათაშვილის პოეტიკა. მომხსენებლის აზრით, ბარათაშვილი პირველი ქართველი ევროპელი პოეტია, რომლის შემოქმედება განს...

... ლობას და მონაწილეობდა საქართველოს ისტორიის შედგენაში.

აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ შეაჯამა სესიის მუშაობა. მან აღნიშნა მოხსენებათა დიდი მნიშვნელობა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო საღამოები

წულუკიძის სახელმწიფო თეატრში შესდგა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

მოხსენება თემაზე—ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება—გააკეთა დოცენტმა კ. მეძველიამ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები „მერანი" და „ფიქრი მტკვრის პირას" წაიკითხეს მოსწავლეებმა მ. ბახტაძემ და გ. ღოღობერიძემ. გ. ლეონიძის ლექსი „ნეშტს" წაიკითხა ო. ჭავჭანიძემ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა გ. ჭავჭანიძემ და ა. ფატმანიშვილმა.

ადგილობრივი თეატრის მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ინსცენირება ნ. ბარათაშვილის პოემის—„ბედი ქართლისა".

ლაგოდეხში ჩატარდა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა პოეტმა ვ. გორგაძემ. ნ. ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თ. ჯალიაშვილმა და ც. ჩიქოვანმა.

დასასრულ ამავე სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს კონცერტი. ლაგოდეხის დრამატიული სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. სინჯიაშვილის მიერ ინსცენირებული „ბედი ქართლისა".

ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებანი ჩატარდა კოლმეურნეობებსა და სკოლებში.

გამოფენა ზუგდიდის მუზეუმში

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიცია გაშლილია სამ დიდ სტენდზე.

პირველ სტენდზე ნ. ბარათაშვილის დროინდელი თბილისის ხედები, განსაკუთრებით ...

... ლი თბილისის მოქალაქეთა ტიპების სურათები, მათი საქმიანობა და დამახასიათებელი ნიშნები.

მეორე სტენდზე ყურადღებას იპყრობს ბარათაანთ გვარის გენეალოგია, პოეტისა და მისი მშობლების წარმოშობის ნუსხა, მასალები ნათესავების, უახლოესი მეგობრებისა და სკოლის პერიოდის შესახებ ნაჩვენებია ბარათაშვილი გიმნაზიაში, მისი ამხანაგები (მამაცაშვილი, მელიქიშვილი, თუმანიშვილი მ. ჰყონია, ყიფიანი, ისარლოვი) და გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალი, რომელშიც პოეტი მონაწილეობდა. აქვე წარმოდგენილია პოეტის მასწავლებლების სურათები ...

... და დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვას, 1938 წელს. გამოფენილია აგრეთვე პოეტის გამოცემები, ავტოგრაფები მრავალი საბიოგრაფიო დოკუმენტი და ფოტოპირი სათანადო ანოტაციებით, ციტატებით, ახსნა-განმარტებითი წერილებით.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

26 და 27 ოქტომბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

26 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

1. შესავალი სიტყვა — რექტორი, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი.
2. ნ. ბარათაშვილის ეპოქა (30-40 წლები) საქართველოში — პროფესორი გ. თავზიშვილი.
3. ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა — პროფესორი შ. რადიანი.
4. ნ. ბარათაშვილის ლირიკის თავისებურება — დოცენტი გ. აბზიანიძე.

27 ოქტომბერს სესიაზე მოხსენებას გააკეთებენ:

1. აკადემიკოსი ა. შანიძე — „ნ. ბარათაშვილის ენა".
2. დოცენტი ნ. ურუშაძე — „ნ. ბარათაშვილის შემოქმედება და პრობლემა ბაირონიზმისა".
3. ა. ჩხეიძე — „ბარათაშვილი რუსული თარგმანით".
4. პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი — „ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა".

თელავის მტს-ის ტრაქტორისტი ა. კირვალიძე, რომელიც დღეში ხნავს 8 ჰექტარს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

ფოტო რ. აკოფოვისა

ხაშურელი კოლმეურნეები ავითარებენ მევენახეობას

საუკეთესოდ ხარობენ ხაშურის რაიონში ვაზის ძვირფასი ჯიშები — ძველშავი, ქვიშხური, ბუდეშური, ალიგოტე, პინო და სხვა, 5-6 წლის მანძილზე კოლმეურნეობებში 173 ჰექტარი ვენახი გაშენდა.

ვენახი აქ უხვად ისხამს და მოსავალი კარგად მწიფდება. ...

... 40 ცენტნერისა. ყურძენს უხვად იღებენ აგრეთვე სოფელ ალის XVIII პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე დ. გვარამაძე, ბრიგადირი შ. ნოზაძე), გვერდის უბნის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

სოფელ ალის კოლმეურნეობის მიწებზე, გარდა ძვირფასი ადგილობრივი ჯიშებისა, საუკეთესო შედეგი მოგვცა საზღვარგარეთულმა საშამპანე ვაზმაც — ალიგოტემ და პინომ. პირველმა საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი მოისხა, მეორემ — 45 ცენტნერი.

კოლმეურნეობები ადიდებენ ვენა...

... გვება.

ხაშურელი კოლმეურნეები ფართოდ ავითარებენ მევენახეობას.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

თეთრი წყაროს რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა

თეთრი წყაროს რაიონმა ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა შეასრულა 102,1 პროცენტით, რძისა—101,7, ბრინზა ყველისა—105,4, კვერცხისა—103,3, მატყლისა—100,2 პროცენტით.

რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ყველა სახის ტყავის სავალდებულო ჩაბარების გეგმა.

ჩაის ფოთლის კრეფა

(საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 20 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	105,8	ქუთაისი	83,6
ქობულეთი	94,2	წყალტუბო	104,2
გალი	101,6	ტყიბული	91,0
ოჩამჩირე	110,3	ცხაკაია	102,3
გულრიფში	88,0	აბაშა	103,5
სოხუმი	94,0	გეგეჭკორი	100,1
გუდაუთი	100,0	ზუგდიდი	86,6
მახარაძე	94,3	წალენჯიხა	71,8
ჩოხატაური	100,2	ჩხოროწყუ	79,2
ლანჩხუთი	83,9	ხონი	82,0
სამტრედია	109,9	ჩხარი	132,5
წულუკიძე	101,3	ხესტაფონი	98,0

ქობულეთის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია. ჩხოროწყუს რაიონისა კი 15 ოქტომბრისაა.

ს ვ ა ნ ე თ შ ი

I. თვითმფრინავი მთებში მიდის

ორადგილიანი ლია თვითმფრინავი აეროდრომის მწვანე მინდორს მოსწყდა. მიფრინავს ზემო სვანეთში, მთებისა და ქვიტკირის კოშკების მხარეში, აქაფებული ენგურის ნაპირებისაკენ.

თვითმფრინავი სწრაფად მიიწევს მაღლა. ორი-ორიათას ხუთასი მეტრი, სხვადასხვაფერი კლდეები, აჭრელებული ალპური მდელოები, მწვანე ტყეები, მონადირეთა, ოქროს მაძიებელთა პატარ-პატარა ქოხები, გეოლოგების საზაფხულო ბანაკები. სამიათას ორასი, სამიათას რვაასი, ოთხი...

... ვება და კლდეებს შუა ხეობაში მიჰქრის. თვალისწინ აღიმართება ოთხკუთხი ქვიტკირის კოშკები, ციხე-სახლები. ეს არის მესტია — ზემო სვანეთის ცენტრი.

— აბა, ახლა ნარზანის სასმელად წავიდეთ, — ამბობს მფრინავი დენის ჩერკაშინი, — კავკასიონის მთავარი ქედის მყინვარებზე საჰაერო ბილიკების პიონერი. დღეში სამჯერ მოჰყავს მას აქ თვითმფრინავი. მოაქვს ფოსტა, ფქვილი, პატარა კასრებით წითელი ღვინო, მოჰყავს მსახიობები, მაძიებელი და არქეოლოგიური ექსპედიციები, აქედან კი „დიდ მიწაზე" სვანები გადაჰყავს.

...

„სექტემბრის მეორე ნახევრიდან მაისის დამლევამდე სვანეთი გარესამყაროსთან ყოველგვარ ურთიერთობას სწყვეტს", — ნათქვამია რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნაწერებში.

...

როგორც განსაკუთრებულ რელიკვიებს სტუმარს უჩვენებენ პაწაწა ქოშს და ლაგამს, რომლებიც თითქოს თამარ მეფეს ეკუთვნოდა. გავრცელებულია ლეგენდა, რომ თამარ მეფე დაკრძალულია სოფელ უშგულის ეკ...

...

მიანებმა გაიყვანეს—მესტიიდან ზუგდიდამდე, რკინიგზის მაგისტრალამდე. ათობით სოფელს კიდევ არ ჰქონდა მესტიაში მისასვლელი გზა, არ მოეპოვებოდა გზატკეცილზე გასასვლელი. მაშინ სვანეთის ორგანიზაციებმა წა...

... მე ვნახე უბნები, სადაც ერთი დღის დაძაბული შრომით, ამონალის გამოყენებით, განუწყვეტლივ აფეთქებათა შედეგად 2-3 მეტრის გავლა ძლივს ხერხდება.. და სვანები მაინც აიძულებენ ბუნებას დამორჩილდეს. უკვე დაიწყო საავტომობილო მიმოსვლა ლახამულა—მესტიის უბანზე, უკვე გასდეს 60-მეტრიანი ხიდი ენგურზე, უკვე გაიმართა დიდი სახალხო დღესასწაული ციცაბო სოფელ კალაში პირველი სატვირთო ავტომანქანის შესვლის გამო.

III. სიცოცხლემ სძლია სიკვდილსა

თბილისში მეგობრებმა მირჩიეს — აუცილებლად ექიმი ნიჟარაძე გაიცანითო. ეს პირველი და ერთადერთი სვანია, რომელმაც უმაღლესი განათლება რევოლუციამდე მიიღო... ბედნიერმა შემთხვევამ მესტიაში ყოფნის პირველ საღამოსვე შემყარა გიორგი გაბრიელის-ძესთან.

ერთმანეთის პირდაპირ ვსხედვართ ექიმის ბიბლიოთეკაში.

— არ ვიცი, როგორ მოხდა,—იგონებს ნიჟარაძე, — მაგრამ პაპაჩემმა—მაღალმთიანი უშგულის გლეხმა, — ყველა სხვა სვანზე უფრო ადრე ისწავლა წერა-კითხვა. იგი ცდილობდა თავისი ცოდნა გადაეცა რაც შეიძლე...

... ბა მეტი სოფლელებისათვის. ჩვენსას მუდამ ხალხი ტრიალებდა. მამაჩემი და სხვა მოწინავე სვანები ყოველ წელს სთხოვდნენ კავკასიის მთავარმართებელს გაეხსნა ზემო სვანეთში დაწყებითი სკოლა და ასევე ყოველ ...

... ზეთ „კავკაზში" წაიკითხე ქრონიკა: „ვილაც სვანმა ნიჟარაძემ მთავარმართებლის თანაშემწეს სენატორ ვატაცის მიართვა თხოვნა, რომლითაც უმორჩილესად სთხოვს გახსნას თუნდაც 4-კლასიანი სკოლა. სენატორმა კვლავ ინება გამოეთქვა აზრი,. რომ სვანეთის მოსახლეობისათვის სკოლა ზედმეტია".

— მე პატივი მხვდა, — განაგრძობს გიორგი გაბრიელის-ძე, — რევოლუციის პირველი მაუწყებელი ვყოფილიყავი სვანეთში. ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდნენ, მე მიჯეროდნენ. სიმართლე გულის სიღრმეში სწვდებოდა სვანებს. ჯერ მთიელებმა — მულახელებმა, შემდეგ უშგულელებმა, მესტიელებმა — ზედიზედ ზემო სვანეთის მთელმა სასოფლო საზოგადოებებმა გადასწყვიტეს გაეგზავნათ დელეგატები წითელი არმიისათვის და ეთხოვნათ დაეცვა სვანეთი. 3.500 მეტრის სიმაღლეზე მოხდა თავისუფალი სვანების გულითადი შეხვედრა რევოლუციის ჯარისკაცებთან. მალე შეიქმნა რევკომი. მე წილად მხვდა ვყოფილიყავ თავმჯდომარედ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს და მთელ ჩემს უნარს ვახმარდი საყვარელ საქმეს — მედიცინას.

ილია დუბინსკი

(დასასრული იქნება)

ჩინელი მეცნიერის მოხსენება საბჭოთა მეცნიერების შესახებ

ჩუნცინი, 23 ოქტომბერი. (საკდესი) როგორც გაზეთი „სინმინბაო" იუწყება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სრულიად ჩინეთის საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე მოხსენება—„მეცნიერება სსრ კავშირში" გააკეთა ცნობილმა ჩინელმა ფიზიკოსმა ტინ სია-ლინმა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო და მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიას დაესწრო.

„საბჭოთა კავშირი,—სთქვა ტინ სია-ლინმა, — არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ორგანიზებულად ავითარებს მეცნიერებას. კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა საბჭოთა კავშირში მოწმობს იმ ყურადღებას, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ექცევა, აგრეთვე იმ ინტერესს, რასაც საბჭოთა ხალხი მეცნიერებისადმი იჩენს".

შემდეგ ტინ სია-ლინმა უამბო იმ მზრუნველობაზე, რასაც საბჭოთა მთავრობა მეცნიერთადმი იჩენს, და დასასრულ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს ჩინელ და საბჭოთა მეცნიერებს შორის.

წინასწარი შედეგები საყოველთაო არჩევნებისა და რეფერენდუმებისა საფრანგეთში

პარიზი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზუსტებული ოფიციალური ცნობებით, საყოველთაო არჩევნების შედეგები საფრანგეთის მეტროპოლიის ტერიტორიაზე ასეთია:

კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 142 ადგილი და, გარდა ამისა, კომპარტიის სიებით არჩეულია 6 დეპუტატი „საფრანგეთის ალორძინების გაერთიანებული მოძრაობისაგან";

„სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიამ — 140 ადგილი,

სოციალისტურმა პარტიამ — 133 ადგილი;

„დემოკრატიულმა რესპუბლიკურმა კავშირმა" — 26 ადგილი;

რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიამ — 19 ადგილი;

„რესპუბლიკურმა კავშირმა" („კლასიკური" უკიდურესი მემარჯვენე პარტიების ბლოკი)— 12 ადგილი;

„წინააღმდეგობის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა კავშირმა", რომელიც სოციალისტურ პარტიას ემხრობა, — 10 ადგილი;

„ალიანს დემოკრატიკმა" — 10 ადგილი;

9 სხვა პარტიამ მიიღო 24 ადგილი.

ჯერ კიდევ არ არის სრული ცნობები საფრანგეთის სამფლობელოებში 64 მანდატის განაწილების შესახებ.

პარიზი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც დღეს დილით პარიზის რადიომ გვაცნობა, რეფერენდუმის წინასწარი შედეგები საფრანგეთის 39 დეპარტამენტში შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

რეფერენდუმის პირველ კითხვაზე „ჰო" უპასუხა 9.600.251 ამომრჩეველმა და უარყოფით უპასუხა 378.129 ამომრჩეველმა. ამრიგად, ამ ცნობების თანახმად, დიდმა უმეტესობამ აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ 21 ოქტომბერს არჩეული ასამბლეა დამფუძნებელი კრება იყოს.

რეფერენდუმის მეორე კითხვაზე „ჰო" უპასუხა 6.271.497 ამომრჩეველმა და „არა" უპასუხა 3.097.344 ამომრჩეველმა. რეფერენდუმის მეორე კითხვის პასუხის შედეგთა შესახებ ზემომოყვანილი ცნობების თანახმად, ამომრჩეველთა უმრავლესობამ მოიწონა მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი საფრანგეთში სახელმწიფო ხელისუფლების დროებითი ორგანიზაციის შესახებ ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე.

წინასწარი ცნობები საფრანგეთის არჩევნებში სამი პარტიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის შესახებ

პარიზი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით 21 ოქტომბერს არჩევნებში მიცემულ ხმათა საერთო რაოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ კომუნისტთა კანდიდატებმა მიიღეს 4.556 ათასი, სოციალისტური პარტიის კანდიდატებმა — 4.488 ათასი. „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიამ — 4.032 ათასი ხმა.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზარალი ომის განმავლობაში

ლონდონი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის საზღვაო მინისტრმა ალექსანდერმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა საზღვაო ლიგაში, განაცხადა, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ომის განმავლობაში დაჰკარგა 730-ზე მეტი ხომალდი და 50.000-ზე მეტი ოფიცერი და მატროსი მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით.

ჰოლანდიის ინდოეთის ამბები

დელი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). დელის რადიო გადასცემს იუნაიტედ პრესის სააგენტოს მიერ ბატავიიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ მდგომარეობა კუნძულ იავაზე (ჰოლანდიის ინდოეთის ერთ-ერთი კუნძული) სულ უფრო დაძაბული ხდება. შეტაკება დოქტორ სოეკარნოს მეთაურობით აქ შემდგარი ინდონეზიის მთავრობის ჯარებსა და ჰოლანდიის ჯარებს შორის ძლიერდება, განსაკუთრებით კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში.

სან-ფრანცისკო, 22 ოქტომბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს რადიო იუწყება, რომ მიღებული ცნობებით, აჯანყება ჰოლანდიის მმართველობის წინააღმდეგ ინდონეზიაში კუნძულ იავიდან კუნძულ სუმატრაზე გავრცელდა.

დოკერების გაფიცვა ინგლისში

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დოკერების გაფიცვა ლონდონში უკვე 12 ათას კაცს მოედო. საერთოდ კი ინგლისში გაფიცულია 50 ათასამდე დოკერი. გემების განსატვირთავად კიდევ 3 ათასი ჯარისკაცი გაიგზავნა. ამრიგად განტვირთვაში მონაწილე ჯარისკაცთა საერთო რიცხვი 10 ათას კაცს აღემატება.

ლივერპულის გაფიცულ დოკერთა წარმომადგენლები დღეს ლონდონს ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ლონდონელ ხელმძღვანელებთან განიხილონ ის პირობები, რომლებითაც დოკერები თანახმა არიან მუშაობას შეუდგნენ.

დღეს დილით ლონდონში შესდგა გაფიცულ დოკერთა მიტინგი, რომელზეც გამოვიდა დოკერების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოუელი. მან განაცხადა, რომ თუ მთავრობამ ზომები არ მიიღო დოკერების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ერთი თვის განმავლობაში გაფიცვა გადაიქცევა „დიდ ნაციონალურ კრიზისად და იმაზე უარეს გაფიცვად, რომელიც 1926 წელს მოხდა".

ჩეხოსლოვაკიის სახალხო სასამართლოების მიერ ჩეხი ხალხის გამცემლებისათვის გამოტანილი განაჩენი

პრაღა, 22 ოქტომბერი. (საკდესი). სახალხო სასამართლომ პრაღაში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა გესტაპოელ იან ფრაილახს. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. იმავე სახალხო სასამართლომ ექვს გამცემს, რომლებიც ოკუპაციის პერიოდში გერმანელებთან აბეზღებდნენ ჩეხოსლოვაკიელ პატრიოტებს, მიუსაჯა პატიმრობა 8-დან 15 წლამდე ვადით.

პლზენის სახალხო სასამართლომ 18 ოქტომბერს გაარჩია საქმე ფრანტიშეკ და მარკეტა პავლიკებისა, რომელთაც ბრალად ედებათ რამდენიმე ჩეხი პატრიოტის დაპატიმრება და დაღუპვა. მარკეტა პავლიკის დაბეზღებით გერმანელებმა დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს შინამოსამსახურე ფენცლოვა იმისათვის, რომ მან მოიწონა პატრიოტების მიერ ფაშისტ ჯალათის ჰაიდრიხის მკვლელობა. სახალხო სასამართლომ მარკეტა პავლიკს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში მის ქმარს ფრანტიშეკ პავლიკს 20 წლის პატიმრობა მიესაჯა.

ეჩმიაძინში სომხური ეკლესიის კრების ამერიკელ დელეგატთა განცხადება

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). ეჩმიაძინში სომხური ეკლესიის კრების სამი ამერიკელი დელეგატი, რომელნიც ამას წინათ დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა სომხეთსა და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სომხურ თემებში ოთხ თვეს ყოფნის შემდეგ, 18 ოქტომბერს გამოვიდნენ „ამერიკაში სომეხთა ეროვნულ საბჭოს" მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე. მათ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა სომხეთის მიერ სამრეწველო განვითარებისა და განათლების დარგში მიღწეულ წარმატებებს დელეგატებმა კრება დაახასიათეს როგორც ისტორიული მოვლენა სომხური ეკლესიის ცხოვრებაში. ისინი მოუწოდებდნენ, რომ მთელ მსოფლიოში გაფანტული 1,5 მილიონი სომეხი რეპატრიირებულ იქნას საბჭოთა სომხეთში. ამისათვის დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა სომხეთს დაუბრუნდეს თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული სომხეთა მთელი მიწა-წყალი.

დელეგატებმა ტერზიანმა სელიანმა და ჩანკალიანმა თავიანთ განცხადებაში აღნიშნეს: „კრება, რომელიც ამას წინათ ეჩმიაძინში გაიმართა, ადასტურებს, რომ საბჭოთა სომხეთში რელიგიის თავისუფლება მთელი კამათი კრე-[illegible] „აღემატება". დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს საბჭოთა სომხეთის ეკონომიური განვითარების წარმატებანი და განაცხადეს: საბჭოთა სომხეთმა დიდ პროგრესს მიაღწია აგრეთვე განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. იმ ქვეყანაში სადაც წინათ მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტამდე იყო წერა-კითხვის მცოდნე, ამჟამად წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით ლიკვიდირებულია". დელეგატებმა აღნიშნეს დიდი როლი, რომელიც სომხებმა შეასრულეს საბჭოთა კავშირის სამამულო ომში.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ერთი ლიგა სცნობდა სომეხთა უფლებებს თურქეთის შემადგენლობაში შემავალ სომხურ პროვინციებზე. „ყველა სომეხს და საერთოდ მთელ ქრისტიანთა სამყაროს, — ნათქვამია განცხადებაში, — სწამს, რომ ამერიკელები ვილსონის ტრადიციათა ერთგულნი დარჩებიან და გულწრფელად დაუჭერენ მხარს სომეხი ხალხის სამართლიან პრეტენზიას მის ისტორიულ მიწა-წყალზე".

უპასუხა რა კითხვებზე, დელეგატმა ჩანკალიანმა, რომელიც ამერიკული არმიის გადამდგარი კაპიტანი და საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელია, [illegible]



თბილისი. პიონერთა სასახლე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ანგარიშგება და არჩევნები წითელი ჯვრის ორგანიზაციებში

საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საძულველი მტრის განადგურების საქმეში. მათ წითელ არმიისათვის მოამზადეს ათასობით სამედიცინო და სანიტარი, ჰოსპიტლების მომსახურე პერსონალი. 1942 წელს მომზადდა 2.000-ზე მეტი სამედიცინო და, 1943 წელს — 4.000-ზე მეტი სანიტარული რაზმელი და სანიტარული ინსტრუქტორი, 1944 წელს კი — 200.000 სანიტარული თავდაცვის ნიშნოსანი.

წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებთან ერთად მოამზადეს თავდაცვის ჯგუფები, შექმნეს სანიტარული საგუშაგოები და სამედიცინო სანიტარული რგოლები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის დაცვის ბრწყინვალე ეპოპეაში.

რესპუბლიკაში გამოვლინებულ იქნა ათასობით დონორი. მათ მიერ გაღებულმა სისხლმა მრავალ ათას დაჭრილ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე, დაუბრუნა ჯანმრთელობა.

წითელი ჯვრის ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჰოსპიტლების კეთილმოწყობასა და მოსახლეობაში სანიტარულ ღონისძიებათა გატარებაში.

საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა მარტო 1944 წელს შეაგროვეს 449.000 მანეთი. ამ თანხით შექმნილია საჩუქრები რესპუბლიკის ჰოსპიტლებში სამკურნალოდ მყოფ დაჭრილ მებრძოლთათვის, დახმარება გაეწია წითელარმიელთა ოჯახებს და უპატრონო ბავშვებს.

წითელი ჯვრის ორგანიზაციებს შორის კარგი მუშაობით გამოირჩევიან აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქუთაისის, ბათუმის, თბილისის ბერიას და სტალინის რაიონების ორგანიზაციები. აქტივობას იჩენენ აგრეთვე სიღნაღის, თელავის, ზუგდიდისა და მახარაძის რაიონული ორგანიზაციები. პირველადი ორგანიზაციებიდან სამაგალითოდ მუშაობენ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, კინოსტუდიის, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის, თბილისის მესამე პოლიკლინიკისა და სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს წითელი ჯვრის ორგანიზაციები.

ამჟამად საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ორგანიზაციებში მიმდინარეობს ანგარიშგება და არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა შევაჯამოთ სამამულო ომის ოთხი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა, ვამხილოთ ნაკლოვანებანი და დავსახოთ ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის კრებებზე უნდა გამოვავლინოთ წითელი ჯვრის აქტივისტები და მტკიცედ დავრაზმოთ ისინი ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანათა შესასრულებლად.

წითელი ჯვრის ორგანიზაციების მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი უნდა გახდეს. საჭიროა ყოველდღიური მზრუნველობა გავუწიოთ სამამულო ომის ინვალიდებს, უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს აქტიურად დავეხმაროთ სამედიცინო დაწესებულებებს ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას და მოსახლეობაში სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვევათა დანერგვაში. უნდა უზრუნველვყოთ წითელი ჯვრის ორგანიზაციების შემდგომი ზრდა.

წითელი ჯვრის ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნების წარმატებით ჩატარება იმის წინაპირობაა, რომ მომავალში უკეთ ვიმუშაოთ ჩვენი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

ვ. ხარჩილავა

საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სოხუმის თეატრის აღდგენა

1943 წელს ხანძარი გაუჩნდა სოხუმის სახელმწიფო თეატრის შენობას. მიმდინარეობს მისი აღდგენა.

გამოყენებული იქნება ხანძრის შემდეგ დარჩენილი კედლები. შენობა და სცენა გაფართოვდება. თეატრი დაიტევს 750 მაყურებელს.

[illegible] 1946 წლისათვის.

[illegible]

[illegible]

სასმელი წყლის სანიტარული დაცვა

სანიტარული ინსპექციის ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის საღი სასმელი წყლით მომარაგების მოწყობა. სასმელი წყალი ყოველთვის წარმოადგენდა ძირითად და მნიშვნელოვან ელემენტს დასახლებული პუნქტების წყლით მომარაგების სისტემაში. სასმელ წყალს ორი ძირითადი მოთხოვნას ვუყენებთ: ჯერ-ერთი, წყალში არ უნდა იყოს ავადმყოფობის წარმომშობი ორგანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მასობრივი გადამდები სნეულებანი მოსახლეობაში, მეორე, — წყალში არ უნდა იყოს შხამიანი ნივთიერებანი. გარდა ამისა, სასმელი წყალი არ უნდა შეიცავდეს გარეშე ნივთიერებებს, არ უნდა იყოს მღვრიე, არ უნდა ჰქონდეს ფეროვნობა, არასასიამოვნო გემო და სუნი, თავისი მარილიანობის შემადგენლობით შეეფერებოდეს საერთოდ მიღებულ ნორმებს. წყლის ხარისხი განიზომება მისი ფიზიკური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოქიმიური თვისებების ერთობლიობით.

ჩვენი პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ მოსახლეობის უზრუნველსაყოფად მაღალხარისხოვანი სასმელი წყლით. ყურადღება ექცევა წყალსადენების ქსელის სწრაფ გაფართოებას არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ საშუალო რაიონულ ცენტრებსა და მცირე სასოფლო ადგილებშიც. ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში არსებობენ წყალსადენის მეურნეობანი. დაწყებულია მუშაობა წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად სოფელ ადგილებშიც.

მიუხედავად ამისა, წყალსადენის მეურნეობის სისტემა ჯერ კიდევ ჩამორჩება ამ მაღალ მოთხოვნებს, რასაც სასმელი წყლის ხარისხს ვუყენებთ. გარდა ხარისხობრივი მაჩვენებლებისა, მწვავედ დგას მოსახლეობისათვის სასმელი წყლის საკმაო რაოდენობით მიწოდების საკითხი. ამან უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით იჩინა თავი თბილისში. სასმელი წყლის ნაკლებობა თბილისში ძალიან საგრძნობია ზაფხულში, რაც უთუოდ გავლენას ახდენს ქალაქის საერთო სანიტარულ მდგომარეობაზე. მთელ რიგ ღონისძიებათა მიუხედავად, როგორიც არის: ნატახტარის წყაროების ლია ნაკადების გამოყენება, ავჭალის ძველი წყალსადენის აღდგენა, ორთაჭალის წყალსადენის აგება და სხვა, თბილისის წყლით მომარაგების არსებული სისტემა მაინც ვერ უზრუნველჰყოფს ქალაქის მოთხოვნილებას. შექმნილი მდგომარეობის გამო ქალაქის კომუნალური მეურნეობა იძულებულია წყლის მიწოდება აწარმოოს დღე-ღამის განსაზღვრულ საათებში რაიონების მიხედვით.

თბილისის წყლით მომარაგების სისტემის ასეთი არანორმალური მდგომარეობა გავლენას ახდენს მოსახლეობის სანიტარულ კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, ტბნების ჩართვისა და გამორთვის დროს ქსელში ჰიდრავლური რეჟიმის სისტემატური დარღვევა ზოგან ჰქმნის ქსელის გაბინძურების შესაძლებლობას. ამიტომ საჭიროა უსწრაფეს ღონისძიებათა მიღება თბილისის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. გადამწყვეტ ღონისძიებას ამ საქმეში წარმოადგენს ბულაჩაურის წყაროების ბაზაზე ახალი დიდი წყალსადენის მშენებლობის დაჩქარება ამასთან ერთად უნდა გაიშალოს მუშაობა დამოუკიდებელი საწარმოო წყალსადენის ქსელის შესაქმნელად, რათა სავსებით ავიკვეთოს სასმელი წყლის ხარჯვა სამრეწველო საჭიროებისათვის ქალაქ თბილისში მრეწველობის უსწრაფეს ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელია საწარმოო წყალსადენის შექმნა.

მთელ რიგ დიდ ობიექტებში წყალსადენის მეურნეობა სანიტარულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით დღემდე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო წყალსადენის სისტემაში დღემდე არ არის გადაჭრილი წყლის სათანადო კოაგულაციის საკითხი. მიუხედავათ იმისა, რომ კოაგულანტის შემოზიდვა როსტოვის ოლქიდან ომის დაწყებისთანავე შეწყდა, დღემდე ვერ შესძლეს გამოენახათ ადგილობრივი მასალები. ადგილობრივმა კოაგულანტმა, რომელიც ცნობილია „ასკანგელის" სახელწოდებით, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო პრაქტიკული გამოყენება. დამუშავებული არ არის წყლისათვის [illegible]

მთელი რიგი კომუნალური წყალსადენების გარდა, კოაგულანტს ფართოდ იყენებენ სამრეწველო მნიშვნელობის წყალსადენებშიც, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდი იქნება ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო წყალსადენი.

წყლის კოაგულირებისათვის კირის გამოყენებამ ქუთაისის საქალაქო წყალსადენის ნაგებობებში ვერ მოგვცა საკმაო ეფექტი. ბევრ შემთხვევაში შესამჩნევია წყლის ფიზიკური თვისებების გაუარესება. ამით ძალზე მცირდება ქლორირების ეფექტიანობა და იქმნება საფრთხე, რომ ქსელში შეერიოს არასაკმაოდ გაუვნებელყოფილი წყალი. ამას გარდა, დიდი რაოდენობით იხარჯება დეფიციტური მასალა —ქლორი, გადიდებული დოზით მისი გამოყენების აუცილებლობის გამო.

ზოგიერთი წყალსადენის ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ახალციხის ქალაქის წყალსადინარები, რომელთა სიგრძე 12-15 კილომეტრს უდრის, მრავალ ადგილას არის დაზიანებული. სამეთვალყურეო ჭებიც არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია. ამის გამო წყაროს წყალი სისტემატურად ბინძურდება. ასევე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თეთრი წყაროს წყალსადენის სათავის ნაგებობანი, არის დეფექტები მთელ რიგ სხვა წყალსადენებშიც.

გასულ წელთან შედარებით მთელ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქლორატორო საქმე, მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობია მისი აპარატურისა და უმთავრესად სათადარიგო ნაწილების სიმცირე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა მოაწყო რემასნაცკის სისტემის საქლორატორო აპარატურის წარმოების სპეციალური საამქრო. მის მიერ გამოშვებული აპარატურის რაოდენობა, განსაკუთრებით სათადარიგო ნაწილებისა, საკმარისი არ არის. ააამქროს სუსტი მუშაობის შედეგად მთელ რიგ წყალსადენებში სარეზერვო აპარატურის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ წყალსადენში მაგალითად, ქალაქ ახალციხისა, საქლორატორო აპარატის უმოქმედობის გამო, წყლის ქლორირება უშუალოდ ბალონებიდან სწარმოებს. იყო შემთხვევა, რომ საქლორატორო აპარატების დაზიანების გამო იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ ქლოროვანი კირი.

სამეურნეო ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საქლორატორო საქმის სწორად დაყენებას, სრულ წესრიგში იქონიონ საქლორატორო აპარატი უზრუნველჰყონ მათი დროული რემონტი. მხოლოდ საქლორატორო აპარატების სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვით შეიძლება უზრუნველვყოთ წყლის აუცილებელი გაუვნებლობა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ წყალსადენებისათვის, რომლებიც წყალს ღია წყალსაცავებიდან იღებენ.

სუსტად არის განვითარებული წყალსადენებში საუწყებო ლაბორატორიების ქსელი. ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ქალაქ თბილისის წყალსადენი, რომლის სისტემაშიც მოწყობილია ერთი მძლავრი ცენტრალური სანიტარულ-ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და მთელი რიგი ლაბორატორიები თვით ნაგებობებში.

არის შემთხვევა, რომ ცალკეული სამრეწველო საწარმოები წყალსადენების ქსელის ექსპლოატაციის დროს უხეშად არღვევენ სანიტარულ-ტექნიკურ წესებს. იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც აქვთ საწარმოო წყალსადინები ტექნიკური მიზნებისათვის, უნდა იცოდნენ, რომ კატეგორიულად აკრძალულია საწარმოო (ტექნიკური წყლის) და სამეურნეო, სასმელად განკუთვნილი წყლის წყალსადენების ქსელის შეერთება. ასეთი შემთხვევის აღმოჩენისას პასუხისმგებელნი იქნებიან პირადად ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

კომუნალური მეურნეობისა და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოების მხრივ სათანადო ზედამხედველობის განხორციელებით სავსებით შესაძლებელია წყალსადენის ნაგებობათა არსებული ქსელის სანიტარული კეთილდღეობის დაცვა და ამ გზით მოსახ-[illegible]

ი. ურანგულიძე

საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო სანიტარიო ინსპექტორი [illegible]

შეხვედრება ცხენოსნობაში

[illegible]

ბათუმი. ბეჭდვითი სიტყვის სახლი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ხაშურის რაიონში

გამწვანება

ქალაქის ჩრდილოეთის მხარეზე, „ზემოსერზე" დაირგო 100.000-მდე ძირი 1-2-წლიანი ფიჭვი და სხვა დეკორატიული მცენარეები. მთელი სამუშაო შესრულდა ქალაქის მცხოვრებთა და მუშა-მოსამსახურეთა მიერ. დაწყებულია დამატებით სურამის მხარეზე 20 ჰექტარამდე ზოლის გამწვანება.

გზების გასწვრივ ფიჭვის ხეები

ქალაქ ხაშურიდან სოფელ ჩუმათელეთამდე რკინიგზის გასწვრივ 10 კილომეტრზე წელს გაზაფხულზე დაირგო ათეული ათასი ძირი 5-10-წლიანი ფიჭვის ხეები. ნარგავის 70 პროცენტამდე გახარებულია. მიმდინარეობს ხეების გამორგვის სამუშაოები

ახალი მიწების ათვისება კოლმეურნეობებში

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] თბილისი, ლენინის ქ. № 28. [illegible]